ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 13

ქ.ახალციხე

09 სექტემბერი 2011 წ
17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მალხაზი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
გელა დემეტრაძე -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
გიორგი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
მაკა სამსონიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
თენგიზ ზედგინიძე-	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
მანანა ბალიაშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;
გაგა ივანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
გიორგი მიქელაძე –	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
დავით ჩაჩანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

სხდომას არ ესწრებოდა:

ემზარ მღებრიშვილი-	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში (შვებულებაშია).

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: "ქ. ახალციხეში, ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2011 წლის 29 აგვისტოს 11:34 საათზე გამოცხადებულ №147 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ "ქ. ახალციხეში, ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 29 აგვისტოს 11:34 საათზე გამოცხადებულ №147 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა-ფიზიკურმა პირმა დავით გოგიაშვილმა შემდეგ თანხაზე: 4000 (ოთხი ათასი)ლარი.

განხილვა:

გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი დავით გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი დავით გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახალციხეში, ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 29 აგვისტოს 11:34 საათზე გამოცხადებულ №147 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს ფიზიკური პირი დავით გოგიაშვილი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, ფიზიკური პირის დავით გოგიაშვილის წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	მ. გიქოშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	გ. დემეტრაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	გ. გიქოშვილი
	გ. ივანიძე
	თ. ზედგინიძე
	გ.მიქელაძე
	მ. ბალიაშვილი
	დ. ჩაჩანიძე